# ხელშეკრულება №5

საფოსტო მომსახურებაზე
(CPV: 64110000 – საფოსტო მომსახურებები)
სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით

Gaiomi

თბილისი 20 იანვარი 2011წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის – ნუგზარ ჩხეიძის სახით, ერთის მხრივ და შპს „საქართველოს ფოსტა" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი ექსპლუატაციის დირექტორის გრიგოლ გოგავას სახით, მეორეს მხრივ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ დებულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვით შემდეგზე:

*1. შესყიდვის ობიექტი*

1.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით „შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად ფოსტის საშუალებებით შემდეგი საფოსტო და სატელეგრაფო მომსახურების მიწოდება:

1.1.1. საქართველოს ფარგლებში ყველა კატეგორიის წერილობითი კორესპონდენციის (შეკვეთილი, უბრალო და ფასიანი) და საფოსტო ამანათების (უბრალო და ფასიანი) მომსახურება;

1.1.2. საერთაშორისო წერილობითი კორესპონდენციის (შეკვეთილი, უბრალო და ფასგამოცხადებული წერილი, მცირე პაკეტი) და საფოსტო ამანათების (ჩვეულებრივი და ფასგამოცხადებული) მომსახურება;

1.1.3. საფოსტო – საკურიერო მომსახურება თბილისში, საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში;

1.1.4. EMS – საერთაშორისო დაჩქარებული ფოსტით მომსახურება;

1.1.5. პირდაპირი ფოსტით (Direct Mail) მომსახურება;

1.1.6. სატელეგრაფო მომსახურება თბილისში, საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში და საზღვარგარეთის ქვეყნების მისამართით.

1.1.7. საქართველოს ფარგლებში „სახელშეკრულებო" სახით, წერილობითი კორესპონდენციის მომსახურება.

1.2. კონვერტების შეძენა;

1.3. საფოსტო მარკების შეძენა.

*2. ხელშეკრულების საგანი*

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 1 მუხლის ყველა ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურება, გარდა 1.1.6. ქვეპუნქტის მომსახურებისა

*3. შესასყიდი ობიექტის ღირებულების განსაზღვრა და ღირებულება*

3.1. გაწეული მომსახურების საფასური განისაზღვრება ფოსტის ქსელებით მომსახურებაზე „მიმწოდებელის" მიერ დადგენილი ტარიფებით (თან ერთვის „შემსყიდველი" მიერ მოთხოვნილი შესყიდვის ობიექტის შესაბამისად).

3.2 შესასყიდი ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 800 (რვაასი) ლარს.

3.3. 3.2 მუხლში აღნიშნული თანხა შეიძლება დაზუსტდეს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, შესაბამისად, ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების და შედარების აქტების საფუძველზე.

*4. ანგარიშსწორების პირობები და მიღება–ჩაბარების წესი*

4.1. უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს ეროვნული ვალუტით.

4.2 „შემსყიდველი" ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში შეიძენს სხვადასხვა სახის და ნომინალის საფოსტო მარკებს და კონვერტებს (შესაძლებელია ეტაპობრივად) დანართი №1 -ის თანახმად, რაზეც ანგარიშსწორებას ახდენს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2.1. „შემსყიდველი" მიერ საფოსტო მარკების და კონვერტების მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ხელშეკრულების ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში „მიმწოდებელი უფლებამოსილია შეუწყვიტოს მომსახურება, უნაღდო ანგარიშსწორებით, გაფრთხილებიდან 10 (ათი) დღის შემდეგ.

4.2.2. საფოსტო მარკების და კონვერტების გაცემა თბილისში იურიდიულ მისამართზე რეგისტრირებული ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე განხორციელდება მხოლოდ „მიმწოდებელის" იურიდიული მისამართიდან (ქართული მარკის სამსახურიდან) მიღება-ჩაბარების აქტით, სასაქონლო ზედდებულით და საგადასახადო ანგარიშფაქტურით.

4.3. საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში (გარდა თბილისისა) იურიდიულ მისამართზე რეგისტრირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე საფოსტო მარკების გაცემა განხორციელდება მხოლოდ „მიმწოდებლის" ფილიალ „აჭარის ფოსტიდან" მიღება-ჩაბარების აქტთან, სასაქონლო ზედდებულთან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურასთან ერთად.

ფილიალი „აჭარის ფოსტა" საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითებს „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებაში ნაჩვენებ საბანკო რეკვიზიტებს.

4.4. „შემსყიდველის" მიერ 1.1.1. 1.1.2. 1.1.4. 1.1.5. 1.1.6. და 1.1.7 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის გაფორმებული ურთიერთშედარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე, უნაღდო ანგარიშსწორების წესით ყოველთვიურად, არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 (ათი) კალენდარული დღისა.

4.4. ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში „შემსყიდველი" თავის ფაქტობრივი მისამართიდან გასაგზავნ თითოეულ საკურიერო გზავნილზე გადაუხდის „მიმწოდებელს" გაწეული მომსახურების საფასურს ფოსტის ქსელებით მომსახურებაზე „მიმწოდებლის" მიერ დადგენილი ტარიფების ფარგლებში (იხ. დანართი). მათზე დამატებული ძირითადი ტარიფების 30 % ოდენობით საკურიერო მომსახურებისათვის.

4.5.1. „შემსყიდველის" მიერ 1.1.3. პუნქტით განსაზღვრული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის გაფორმებული ურთიერთშედარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე, უნაღდო ანგარიშსწორების წესით ყოველთვიურად, არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 (ათი) კალენდარული დღისა.

4.6. საფოსტო მომსახურების გაწევა განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო ანგარისწორების ვადა გაგრძელდეს 2012წლის 31 იანვრის ჩათვლით.

4.7. „შემსყიდველი" ანგარიშსწორებას ახორციელებს „მიმწოდებლის" ფილიალ „აჭარის ფოსტასთან" შემდეგი საბანკო ანგარიშით :

მისამართი:
6010, ბათუმი, მელაშვილის ქ.4
ტელ. 888222 72280
ბ/კ **BAGAGE22**
ა/ა 118389700
ს/კ 203836233
სს „საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალის
№33 სერვისცენტრი

*5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

5.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია განახორციელოს „შემსყიდველისაგან" მიღებული საფოსტო გზავნილების და დეპეშების მიღება, გადაგზავნა და ადრესატებზე ჩაბარება საქართველოს ფარგლებში, აგრეთვე გადაგზავნა საზღვარგარეთ დანიშნულების ქვეყნების მისამართით.

5.2. „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს „შემსყიდველისაგან" მიღებული გზავნილების მათ შორის წერილების ადრესატებისათვის ჩაბარება გასაგზავნად მიღების დღიდან თბილისში სამუშაო დღეებში 24 საათის განმავლობაში, საქალაქო და რაიონულ ცენტრებში (გარდა მესტიის, ლენტეხის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ტყიბულის, ახალგორის, თიანეთის, წალენჯიხის, ჭიათურის, საჩხერის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, მარტვილის, ხონის, წყალტუბოს, ვანის, ბაღდათის, ადიგენის, ასპინძის, ახლქალაქის, ნინოწმინდის და აჭარის რაიონებისა) - 5 სამუშაო დღეში, ხოლო ზემოთ მითითებულ ცენტრებში და საქართველოს სხვა დასახლებულ პუნქტებში (სოფლებში) 10 სამუშაო დღის განმავლობაში. დეპეშების ჩაბარება თბილისში - არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა. ამავე ხელშეკრულებით რეგულირდება საერთაშორისო საფოსტო გზავნილებათა და EMS გზავნილების მიღება და გადაგზავნა მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების თანახმად.

5.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია საფოსტო გზავნილებათა ჩაბარების შესახებ შეტყობინება „შემსყიდველს" დაუბრუნოს თბილისში გზავნილების ადრესატისთვის ჩაბარებიდან 3 სამუშაო დღეში, საქალაქო და რაიონულ ცენტრებიდან (გარდა 5.2. პუნქტში ჩამოთვლილი რაიონებისა) – 8 სამუშაო დღეში, ზემოთ აღნიშნულ რაიონული ცენტრებიდან და საქართველოს სხვა დასახლებული პუნქტებიდან (სოფლებიდან) – 15 სამუშაო დღეში.

5.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს „შემსყიდველისგან" EMS გზავნილების (დოკუმენტები, საგნები) მიღება საქართველოს განსაზღვრულ დასახლებულ პუნქტებში და გადაგზავნოს დანიშნულებით, საზღვარგარეთ გადაგზავნის განრიგისა და ჩაბარების ვადების (2–7 დღე) შესაბამისად.

5.5. გასაგზავნ გზავნილებს „შემსყიდველი" აბარებს მის მომსახურე საფოსტო საწარმოს სამუშაო დღეებში დღის განმავლობაში, სათანადო რეესტრით (სია ფ. 103) და საფოსტო გზავნილის შესაბამისი რიგითი ნომრის გასწვრივ წონის და გადაგზავნის საფასურის შესაბამის რეკვიზიტებში ჩვენებით. საფოსტო წესების შესაბამისად გაფორმებული გზავნილების სამისამართო მხარეზე მითითებული უნდა იყოს გამგზავნის და ადრესატის საფოსტო ინდექსი, სრული მისამართი, ადრესატის სახელი, გვარი სრულყოფილად და გარკვევით. კონვერტის მარჯვენა ზედა კუთხეში განათავსოს გადაგზავნის ღირებულების მარკა ან მარკები, უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში მარკის განთავსების ადგილზე მიუთითოს „ხელშეკრულებით".

5.6. „მიმწოდებელი" იხსნის პასუხისმგებლობას „შემსყიდველის" მიერ 5.5 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, აგრეთვე, არაზუსტი საფოსტო ინდექსის ან მისამართის ჩაწერის გამო გზავნილი ვერ ჩაბარდება ადრესატს ან ჩაბარდება დაგვიანებით.

5.7. „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს „შემსყიდველის" საკურიერო გზავნილებათა კურიერის მეშვეობით მიღება და დანიშნულებით ჩაბარება 5.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში.

5.8. „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს „შემსყიდველის" მიერ გადაცემული პირდაპირი ფოსტის გზავნილებათა (ბუკლეტები, ბროშურები, საინფორმაციო და სარეკლამო მასალების, პროდუქციის ნიმუშები) გავრცელება მათი რაოდენობის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში და „შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ დასახლებულ პუნქტებში.

5.9. გაითვალისწინეს რა „შემსყიდველის" მიერ გასაგზავნი წერილების მნიშვნელობა, მათი უსაფრთხოების გარანტია, აგრეთვე საჭირო შემთხვევაში, ადრესატზე ჩაბარების შესახებ ინფორმაციის ოპერატიული მოპოვების აუცილებლობა, შეთანხმდნენ ყველა შიდა და საერთაშორისო წერილობითი კორესპონდენცია გაიგზავნოს, როგორც „შეკვეთილი" და ჩაბარების შესახებ შეკვეთილი შეტყობინებით.

„შემსყიდველი" უფლებამოსილია თავისი წერილობითი კორესპონდენცია გაგზავნოს აგრეთვე კატეგორიით უბრალო, მაგრამ უბრალო წერილები სიით ფ.103 არ მიიღება, მათ მიღებაზე ხელწერილი და ქვითარი არ გაიცემა და ასეთი წერილის ადრესატისადმი ჩაუბარებლობის შემთხვევაში „მიმწოდებელი" საფოსტო წესების თანახმად იხსნის პასუხისმგებლობას მათ მოძიებაზე.

5.10. „შეკვეთილი" კატეგორიის წერილების და სხვა რეგისტრირებული გზავნილების ჩაუბარებლობის შემთხვევაში, მათ მოძიებაზე „შემსყიდველის" განაცხადი განიხილება გზავნილების გასაგზავნად მიწოდების დღიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.

5.11. თუ ადრესატი გზავნილზე მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს, ადგილზე არ იმყოფება ან მისი მოუძიებლობის შემთხვევაში წერილის ორჯერ განმეორებით დანიშნულებით მიტანის შემდეგ (ორი დღის განმავლობაში) საფოსტო წესების თანახმად დაბრუნების მიზეზის აღნიშვნით უბრუნდება „შემსყიდველს".

*6. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა*

6.1. ხელშეკრულების პირობებში არავითარი გადახრა ან ცვლილება არ დაიშვება, გარდა ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებისა.

6.2. თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო მათ შორის ცვლილებები ფასებთან დაკავშირებით ერთ-ერთ მხარეს შეექმნება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორმა მხარემ შესაბამისი ინფორმაცია წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს.

6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების ან ფასების გაზრდა ან „შემსყიდველისათვის" პირობების გაუარესება, დაუშვებელია მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების გარეშე. ასეთ შემთხვევაში ცვლილებების ინიციატორი მეორე მხარეს აცნობებს წერილობით 30 დღით ადრე.

6.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

*7. ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხება*

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი გამომწვევი მიზეზის და შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო მოკლე ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

7.2. თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

*8. ფორს-მაჟორი*

8.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

8.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი „შემსყიდველის" ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8.4. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

*9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი*

9.1. „შემსყიდველს" უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური კონტროლი (ინსპექტირება) რათა დარწმუნდეს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

9.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით „შემსყიდველის" მიერ გამოყოფილია კოორდინატორი ვაჟა დიასამიძე (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა 61007003709), რომელიც უფლებამოსილია საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის წარმოდგენის შემთხვევაში განახორციელოს ინსპექტირება.

*10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში*

10.1. „შემსყიდველი" წინამდებარე ხელშეკრულების 4.2, 4.4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მიმწოდებელს" უხდის ჯარიმას - „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების 0,2 %-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.2. „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გარდა ფორს-მაჟორული პირობებისა, გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, მოქმედების პირობები „შემსყიდველის" წინაშე მატერიალურად პასუხისმგებელია შემდეგ შემთხვევებში:

I. შიდა გზავნილებზე:

ა) დაკარგული შეკვეთილი წერილის, შეკვეთილი ბანდეროლის, საფოსტო გზავნილების ნაგებობის შესახებ შეკვეთილი შეტყობინების, ჩვეულებრივი ამანათისათვის – გადაგზავნის საფასურის ფარგლებში. ფასიანი ამანათის, ფასიანი ბანდეროლის ან ფასიანი წერილისათვის – გამოცხადებული ფასის ფარგლებში.

ბ) საფოსტო გზავნილების შიგთავსის დანაკლისის ან დაზიანების შემთხვევაში: ჩვეულებრივი ამანათისათვის – გადაგზავნის საფასურის ფარგლებში. ფასგამოცხადებული ამანათისათვის – გამოცხადებული ფასის ფარგლებში.

გ) ფასიანი წერილის, ფასიანი ბანდეროლის დადგენილი ვადის ზევით ჩაბარებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,1 თეთრის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 50 თეთრისა თითოეულ გზავნილებაზე.

II. საერთაშორისო გზავნილებზე:

ა) ერთი შეკვეთილი წერილის დაკარგვის, მთლიანად გაძარცვის ან დაზიანების შემთხვევაში - 30 სსუ-ს (სესხის სპეციალური უფლება – მიმდინარე დღის შესაბამისი კურსით ლარებში) ოდენობით.

ბ) ფასგამოცხადებული ამანათის დაკარგვის, მთლიანად გაძარცვის ან დაზიანების შემთხვევაში მატერიალური ანაზღაურება ხორციელდება ფასგამოცხადების ფარგლებში.

გ) ფასგამოცხადებული ამანათის ნაწილობრივ გაძარცვის ან დაზიანების შემთხვევაში მატერიალური ანაზღაურება ხორციელდება მიყენებული ზარალის წონის მიხედვით ფასგამოცხადების თანხიდან გამომდინარე.

დ) ჩვეულებრივი ამანათის დაკარგვის, მთლიანად გაძარცვის ან დაზიანების შემთხვევაში მატერიალური ანაზღაურება ხორციელდება ფაქტიურად მიყენებული ზარალის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს 40 სსუ თითოეულ ამანათზე და 4,50 სსუ-ს ოდენობით თითოეულ კილოგრამზე ტარიფის კომბინაციით.

*11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა*

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტონ ხელშეკრულება წერილობითი შეტყობინებიდან 30 დღის შემდეგ.

*12. სადავო საკითხების გადაწყვეტა*

12.1. მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

*13. შეტყობინება*

13.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

13.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან, რომელი უფრო გვიან დგება.

*14. უფლებების გადაცემა*

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება შპს „საქართველოს ფოსტის“ და „შემსყიდველის“ ყველა საქალაქო დარაიონულ ფილიალზე (სამსახურებზე).

*15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად (ერთი „მიმწოდებელს“, ორი „შემსყიდველს“).

*ხელშეკრულების დამდები მხარეები:*

| „შემსყიდველი “ | „მიმწოდებელი “ |
|---|---|
| აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი | შპს „საქართველოს ფოსტა“ |
| მისამართი: | მისამართი: |
| ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის 84/86 | 0100 თბილისი, ვაგზლის მოედანი №2 |
| ტელ: 7 47 19 | ტელ: 91 06 54 |
| ბ/კ **BAGAGE22** | ბ/კ BAGAGE22 |
| ა/ნ GE78BG0000000886744500 | ა/ა 123286800 |
| ს/კ 245427809 | ს/კ 203836233 |
| ბანკის დასახელება: | ბანკის დასახელება: |
| საქართველოს ბანკი | საქართველოს ბანკი |
| ნუგზარ ჩხეიძე | გრიგოლ გოგავა |
| დეპარტამენტის თავმჯდომარე ბ.ა. | ექსპლუატაციის დირექტორი ბ.ა |

ასლია

„დამტკიცებულია"
შპს „საქართველოს ფოსტის"
გენერალური დირექტორის ბრძანებით
№ 15-01/153
23 „ დეკემბერი 2008 წ.

# ტარიფები

## საქართველოს ფარგლებში ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურებაზე
(ლარი)

| № | გზავნილებათა სახეობები და დამატებითი მომსახურებები | საზღაურის ოდენობა (ლარი) |
|---|---|---|
| 1 | საფოსტო ბარათების,წერილების და ბანდეროლების გაგზავნა<br>– უბრალო წერილი,საფოსტო ბარათი დ ბანდეროლი წონით 20 გრ-მდე | 1,2 |
| | – შეკვეთილი წერილი, საფოსტო ბარათი და ბანდეროლი წონით 20 გრ-მდე | 1,5 |
| | – ფასიანი წერლილის და ბანდეროლის წონით 20 გრ-ამდე გაგზავნისას საზღაური აიღება, როგორც შეკვეთილ წერილზე დამატებული შეფასებული თანხის | 10% |
| | ყოველ შემდგომ სრულ და არასრულ 50 გრ-ზე უბრალო, შეკვეთილი, ფასიანი წერილების და ბანდეროლების გაგზავნისას ემატება | 0,4 |
| 2 | ყოველ სრულ და არასრულ ერთი კილოგრამი ამანათის გაგზავნაზე | 2,5 |
| | ფასგამოცხადებული ამანათის გაგზავნისას დამატებით აიღება შეფასების თანხის | 10% |
| 3 | საფოსტო ფულადი გზავნილის გადაგზავნაზე<br>10. ლარიდან – 100 ლარის ჩათვლით აიღება გადასაგზავნი თანხის | 4% |
| | ყოველ შემდგომ სრულ და არასრულ 50 ლარზე დამატებით აიღება | 0,5 |
| 4 | საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების გაგზავნა<br>– უბრალო<br>– შეკვეთილი | 0,2<br>0,3 |
| 5 | საფოსტო გზავნილების შენახვაზე ადრესატზე შეტყობინების ჩაბარების დღიდან ორი დღის შემდეგ ყოველ გადაცილებულ დღეზე<br>– ფასიან წერილზე და ბანდეროლზე<br>– საფოსტო ამანათზე | 0,2<br>0,4 |
| 6 | გამგზავნის თხოვნით თითოეულ საფოსტო გზავნილზე ფოსტის მუშაკის მიერ<br>– მისამართის დაწერა<br>– თანმხლები ფორმებისა და ბლანკების შევსება<br>– შიგთავსი აღწერილობის შევსება | 0,2<br>0,3<br>0,3 |

დამატებითი მომსახურების იმ სახეობებზე, რომელიც არ არის მითითებული წესამდებარე ტარიფებში დგინდება ხელშეკრულების საფუძველზე
გამგზავნის მიერ ერთ ან მრავალჯერადად დიდი მოცულობის საფოსტო გზავნილებების გაგზავნისას შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას შეღავათიანი ტარიფის გამოყენება ხელშეკრულების საფუძველზე.

აუდიტორული დირექტორი მ. ფერაძე

შემსრულებელი ო. ქალანდაძე

„დამტკიცებულია"
შპს „საქართველოს ფოსტის"
გენერალური დირექტორის ბრძანებით
№ 15-01/169
„22" 06 2010 წ.

# ტარიფები

## საქართველოდან საზღვარგარეთის ქვეყნებში საერთაშორისო საფოსტო გზავნილებების გადაგზავნაზე ზონების მიხედვით და დამატებით მომსახურებაზე

(ლარებში)

| № | გზავნილების სახეობა | საჰაერო ტრანსპორტით | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I ზონა | II ზონა | III ზონა | IV ზონა | V ზონა | VI ზონა |
| 1 | უბრალო წერილი, ბეჭედითი გამოცემა (ბანდეროლი) (მაქსიმალური წონა 2 კგ) საფოსტო ბარათი (მაქსიმალური წონა 20 გრ) | | | | | | |
| | 20 გრ-მდე | 3,0 | 4,0 | 4,4 | 4,8 | 5,0 | 5,2 |
| | 21 გრ-დან – 100 გრ-მდე | 6,0 | 8,2 | 8,8 | 9,4 | 9,7 | 10,0 |
| | 101 გრ-დან – 250 გრ-მდე | 9,5 | 12,2 | 13,4 | 14,6 | 15,2 | 15,8 |
| | 251 გრ-დან – 500 გრ-მდე | 15,3 | 20,8 | 22,0 | 23,2 | 23,8 | 24,4 |
| | 501 გრ-დან – 1000 გრ-მდე | 21,0 | 26,0 | 27,5 | 29,0 | 30,5 | 32,0 |
| | 1001 გრ-დან – 2000 გრ-მდე | 27,5 | 34,5 | 37,0 | 39,5 | 42,0 | 44,5 |
| 2 | შეკვეთილი წერილი, ბეჭედითი გამოცემა (ბანდეროლი) (მაქსიმალური წონა 2 კგ) საფოსტო ბარათი (მაქსიმალური წონა 20 გრ) საზღაური აილება, როგორც უბრალო გზავნილებზე დამატებული | 2,5 ყველა ზონისთვის | | | | | |
| 3 | ფასცამოცხადებული წერილი, ბეჭედითი გამოცემა (ბანდეროლი) (მაქსიმალური წონა 2 კგ) საზღაური აილებს, როგორც უბრალო გზავნილზე დამატებული | 3,0 ყველა ზონისთვის და 10% შეფასებული თანხის | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | მცირე პაკეტი (მაქსიმალური წონა 2 კგ) | | | | | | |
| | 100 გრ–მდე | 8,5 | 10,7 | 11,3 | 11,9 | 12,2 | 12,5 |
| | 101 გრ–დან – 250 გრ–მდე | 12,0 | 14,7 | 15,9 | 17,1 | 17,7 | 18,3 |
| | 251 გრ–დან – 500 გრ–მდე | 17,8 | 23,3 | 24,5 | 25,7 | 26,3 | 26,9 |
| | 501 გრ–დან – 1000 გრ–მდე | 23,5 | 28,5 | 30,0 | 31,5 | 33,0 | 34,5 |
| | 1001 გრ–დან – 2000 გრ–მდე | 30,0 | 37,0 | 39,5 | 42,0 | 44,5 | 47,0 |
| 5 | სეკოგრამა (მაქსიმალური წონა 5 კგ) მხოლოდ სატრანსპორტო გადაზიდვაზე საზღაური აიღება ყოველ სრულ და არასრულ 1000 გრ–ზე | 3,0 | 4,0 | 4,5 | 5,0 | 5,5 | 6,0 |
| 6 | სპეციალური „M" ტომარა ბეჭედითი გამოცემით დამისამართებული ერთ მისამართზე (მაქსიმალური წონა 15 კგ) გადასახადი „M" ტომარაზე წონის მიუხედავად | 15,0 ყველა ზონისთვის | | | | | |
| | დამატებული გადასახადი ყოველ სრულ და არასრულ 1000 გრ-ის გადაგზავნაზე: 5 კგ-მდე | 5,0 | 7,0 | 8,0 | 9,0 | 10,0 | 11,0 |
| | 5 კგ-ის ზევით | 7,0 | 9,0 | 10,0 | 11,0 | 12,0 | 13,0 |
| | შეკვეთის საზღაური აიღება მთლიან ანაკრეფს „M" ტომარაზე დამატებული | 7,0 ყველა ზონისთვის | | | | | |
| 7 | ფულადი გზავნილის გაგზავნაზე საზღაური აიღება გასაგზავნი თანხის | 4,0% ყველა ზონისთვის | | | | | |
| 8 | საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინებისთვის საზღაური აიღება | 3,0 ყველა ზონისთვის | | | | | |

| | დამატებითი მომსახურების სახეობა | გადასახადი |
|---|---|---|
| 1 | გამგზავნის თხოვნით თითოეულ გზავნილზე მისამართის დაწერა ფოსტის მუშაკის მიერ. | 0,2 |
| 2 | გამგზავნის თხოვნით თითოეულ მცირე პაკეტზე თანხმლები დოკუმენტაციის შევსება ფოსტის მუშაკის მიერ. | 0,4 |
| 3 | თითოეული მცირე პაკეტის, ბანდეროლის შეფუთვა ფოსტის მასალით | 0,5 |
| 4 | საზღვარგარეთ გამავალი და საზღვარგარეთიდან შემომავალი თითოეული მცირე პაკეტის სკანირება, რეგისტრაცია და საბაჟოსთვის წარდგენა. | 4,0 |

| | | |
|---|---|---|
| 5 | რეგისტრირებული საფოსტო გზავნილის მოძიებისათვის-<br>გამგზავნის განცხადების საფუძველზე | 3,0 |
| 6 | თითოეული მცირე პაკეტის შენახვა:<br>– 3 სამუშაო დღე (საფოსტო გზავნილის მიღების შესახებ<br>ადრესატისთვის შეტყობინების ჩაბარების დღეს + 2 დღე)<br>– შემდგომ ყოველ გადაცილებულ სრულ და არასრულ ერთ დღეზე<br>აიღება<br>სეკოგრამის შენახვა<br>„M" ტომრის შენახვა:<br>– 3 სამუშაო დღე (საფოსტო გზავნილის მიღების შესახებ<br>ადრესატისთვის შეტყობინების ჩაბარების დღეს + 2 დღე)<br>– შემდგომ ყოველ გადაცილებულ სრულ და არასრულ ერთ დღეზე<br>აიღება | <br>უფასოა<br>0,7<br>უფასოა<br><br>უფასოა<br>2,0 |

*საზღვარგარეთის ქვეყნებში სადაც დაშვებულია სახმელეთო ტრანსპორტით საფოსტო გზავნილებების გადაგზავნა ტარიფი განისაზღვრება საჰაერო ტრანსპორტით ზონების მიხედვით დადგენილი ტარიფის 85,0%-ის ოდენობით.*

*გამგზავნის მიერ მრავალჯერადად დიდი მოცულობის საფოსტო გზავნილების გაგზავნისას შესაძლებელია შეღავათიანი ტარიფის გამოყენება ხელშეკრულების საფუძველზე.*

<u>*შენიშვნა*</u>

*საერთაშორისო საფოსტო გზავნილებების გადაგზავნაზე საზღვარგარეთის ქვეყნების დაყოფა ზონების მიხედვით ტარიფებს თან ერთვის.*

ექსპლუატაციის დირექტორი დ. დარახველიძე

შემსრულებელი
კონსულტანტი ტარიფებისა და ნორმირების საკითხებში
ო. კალანდაძე

1

**საქართველოს ფოსტა**
**GEORGIAN POST**

გენერალური დირექტორი

ბრძანება

№ 15-01/240 „29" 09 2010 წ.

საქართველოდან საზღვარგარეთის ქვეყნებში საერთაშორისო საფოსტო გზავნილებების გადაგზავნაზე და დამატებით მომსახურებაზე ახალი ტარიფების შემოღების შესახებ შპს „საქართველოს ფოსტის" № 15-01/169 22.06. 2010წ. ბრძანებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სატარიფო სისტემის სრულყოფის მიზნით მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან შპს „საქართველოს ფოსტის" № 15-01/169 22.06. 2010წ. ბრძანებაში „საქართველოდან საზღვარგარეთის ქვეყნებში საერთაშორისო საფოსტო გზავნილებების გადაგზავნაზე ზონების მიხედვით" დამატებით მომსახურების ტარიფებში მე-4 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად.

| | |
|---|---|
| მცირე პაკეტის წარდგენა საბაჟო დათვალიერებაზე | |
| საზღვარგარეთ გამავალი | 2,0 ლარი |
| საზღვარგარეთიდან შემომავალი | 4,0 ლარი |

2. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების უფროსს (მ. სურამლიშვილს ახალი ტარიფის შესახებ ინფორმაცია განათავსოს შპს „საქართველოს ფოსტის" ვებგვერდზე.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ექსპლუატაციის დირექტორს ბ-ნ დ. დარახველიძეს.

გენერალური დირექტორი ლ. იშხნელი

GEORGIAN POST LTD * 203835233 * შპს „საქართველოს ფოსტა"